



კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით

2 აპრილი, 2020

თვალსაზრისი

N 03/04

კორონავირუსი (COVID-19) 2019 წლის დეკემბერში გაჩნდა ჩინეთის ქალაქ უხანში, შემდეგ კი გავრცელდა ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში. დღეისათვის კორონავირუსი მსოფლიოს 200-მდე ქვეყანაში ფიქსირდება. ვირუსის შედეგად დაინფიცირებულთა რიცხვი 700,000 ათასს აღემატება, ვირუსის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა კი 34,000 უტოლდება. ვირუსის შემთხვევათა ყველაზე მეტი რაოდენობა ფიქსირდება: ჩინეთში, იტალიასა და აშშ-ში. ბევრი ინფიცირებულია ესპანეთში, გერმანიასა და საფრანგეთშიც. 2020 წლის 30 იანვარს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის 2019-2020 წლის ეპიდემია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო საფრთხედ გამოაცხადა, 11 მარტს კი პანდემიად.

ადამიანების ჯანმრთელობაზე გავლენის გარდა, კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზეც. 2020 წლის 2 მარტს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა განახლებული ეკონომიკური მიმოხილვა, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური ზრდა 2020 წელს შემცირდება 0.5%-ით და შეადგენს 2.4%-ს, თუ ვირუსის ეკონომიკური ეფექტები პიკს მიაღწევს პირველ კვარტალში. თუ ვირუსის ეფექტი პიკს არ მიაღწევს პირველ კვარტალში, მაშინ OECD პროგნოზირებს, რომ 2020 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა (ძველი პროგნოზით 2.9%) შეიძლება შემცირდეს ნახევარით, ან 1.5% -ით. აღნიშნულ ანგარიშზე დაყრდნობით, კორონავირუსის გავრცელების გამო, ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შემცირდება 4.9%-მდე, ევროზონის 0.8%-მდე, ხოლო აშშ-ის 1.9%-მდე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ვირუსის გამო, მსოფლიოში უმუშევართა რაოდენობა, არსებული 188 მილიონიდან, დამატებით გაიზრდება 5.3 - 24.7 მილიონით. რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართომასშტაბიანი იქნება ვირუსის გავრცელების არეალი. კორონავირუსს უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე. თუმცა, განსაკუთრებით დაზარალებიან შემდეგი სექტორები: ტურიზმი, გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა, გართობა და დასვენება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით. გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში განსაკუთრებით ზარალი განიცადა ისეთმა ქვესექტორებმა, როგორცაა ავტომობილების წარმოება და ელექტრო ტექნიკის წარმოება. საგრძნობლად დაეცა აქციათა ფასები საფონდო ბირჟებზეც და ფინანსურმა ბაზრებმა განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახა. მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნა არაპირველადი მოხმარების საგნებზე. სოციალური დისტანცირების გამო კი, თითქმის 0-მდე დაეცა მოთხოვნა გართობის ისეთ სერვისებზე, როგორცაა კინო-თეატრებში, კაფე-რესტორნებსა და სპორტულ ღონისძიებებზე ვიზიტები.

შინაარსი

COVID-19-ის პოტენციური გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე.....	3
ჩინეთი	4
ამერიკის შეერთებული შტატები	5
ევროზონა	6
დარგები, რომლებზეც კორონავირუსით გამოწვეულ დაავადებას ექნება გავლენა.....	8
ტურიზმი.....	8
გადამამუშავებელი მრეწველობა.....	10
საფინანსო სექტორი.....	13
საცალო ვაჭრობა	15
გართობა და დასვენება	17
შეჯამება.....	19
ბიბლიოგრაფია	20

COVID-19-ის პოტენციური გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

კორონავირუსი, რომელიც 2019 წლის ბოლოს დაფიქსირდა ჩინეთში და სამ თვეში მსოფლიო პანდემიად იქცა, ამ ეტაპისთვის გავრცელებულია 200-მდე ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინა განვითარების ეტაპზეა და მისი საწყისი ცდები იმედის მომცემია, დაავადების პოტენციური ზემოქმედება დიდია და გლობალური შეშფოთების მიზეზს წარმოადგენს. კორონავირუსს ადამიანების ჯანმრთელობაზე გავლენის გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკაზე.

2020 წლის 2 მარტს, OECD-მ გამოაქვეყნა განახლებული ეკონომიკური მიმოხილვა, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური ზრდა 2020 წელს შემცირდება 0.5%-ით და შეადგენს 2.4%-ს, თუ ვირუსის ეკონომიკური ეფექტები პიკს მიაღწევს პირველ კვარტალში. თუ ვირუსის ეფექტი პიკს არ მიაღწევს პირველ კვარტალში, მაშინ OECD პროგნოზირებს, რომ 2020 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა (ძველი პროგნოზით 2.9%) შეიძლება შემცირდეს ნახევარით, ან 1.5% -ით¹.

Bloomberg-ის შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 2020 წლის პირველ კვარტალში 1.2%-ით შემცირდა². Bloomberg-ის თანახმად, ეკონომიკური შედეგი შეიძლება მოიცავდეს რეცესიებს აშშ-ში, ევროზონაში, იაპონიას და ჩინეთში, რაც ჯამში 2.7 ტრილიონი აშშ დოლარის ოდენობით დანაკარგს გულისხმობს.

რაბო ბანკის კვლევის თანახმად, გლობალური ეკონომიკური ზრდა 2020 წელს 1.6% იქნება, 2021-ში კი 3.2%³. რაბო ბანკმა შემოგვთავაზა ასევე რისკ-სცენარი (იმ შემთხვევისთვის თუ ვირუსი კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდება), რომლის თანახმადაც, ეკონომიკური ზრდა ჩინეთში დაეცემა 0.2%-მდე, ხოლო მსოფლიოში 0.7%-მდე.

კომპანია Goldman Sachs 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის 1%-ით შეკუმშვას ელოდება, რაც მსოფლიო ეკონომიკას უფრო შეამცირებს, ვიდრე 2009 წლის ფინანსური კრიზისი⁴.

Fitch Ratings-მა თითქმის გაანახევრა 2020 წლის საბაზო შეფასება, რომელიც მათი შეფასებით 2.5%-დან შემცირდება 1.3%-მდე, რაც წინა შეფასებასთან შედარებით 850 მილიარდი აშშ დოლარით ნაკლებია⁵.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, ვირუსის ფონზე მსოფლიოში უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდება. ILO-მ მსოფლიო უმუშევრობაზე

¹ OECD Interim Economic Assessment, “*Coronavirus: The world economy at risk*”, March 2, 2020 <https://www.oecd.org/economic-outlook/>

² Tom Orlik, Jamie Rush, Maeva Cousin and Jinshan Hong, “*Coronavirus Could Cost the Global Economy \$2.7 Trillion*”, March 6, 2020 <https://www.bloomberg.com/graphics/2020-coronavirus-pandemic-global-economic-risk/>

³ Hugo Erken et al. “*Global Economic Outlook: COVID-19 has taken a hold of the global economy*”, March 12, 2020, <https://economics.rabobank.com/publications/2020/march/global-economic-outlook/>

⁴ Erik Sherman, “*Goldman Sachs just made the grimmest prediction yet about the economy in Q2*”, March 20, 2020, <https://fortune.com/2020/03/20/coronavirus-economic-predictions-goldman-sachs-recession-gdp-2q-2020/>

⁵ Fitch Ratings, *Economics*, 2020, <https://www.fitchratings.com/site/pr/10114929>

COVID-19 – ის გავლენა შეაფასა სამი სხვადასხვა სცენარით. მათი შეფასებით, 2019 წელთან შედარებით, როდესაც უმუშევართა რიცხვი 188 მილიონი იყო, ვირუსის გავრცელების მცირე არეალის პირობებში უმუშევრობა 5,3 მილიონით გაიზრდება; ვირუსის გავრცელების საშუალო არეალის პირობებში უმუშევრობა 13 მილიონით გაიზრდება, ხოლო ვირუსის გავრცელების მაღალი არეალის პირობებში უმუშევრობა 24.7 მილიონით გაიზრდება⁶.

ჩინეთი

ჩინეთის ეკონომიკა ნომინალური მშპ-ს მიხედვით, რიგით მეორეა მსოფლიოში და მასზე მსოფლიო ეკონომიკის 16% მოდის⁷. **დანარჩენი მსოფლიოსთვის ჩინეთი მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს მოთხოვნის წყაროს, ერთ-ერთ მსხვილ მიწოდებელსა და ფინანსური ბაზრების მოთამაშეს.**

2019 წელს ჩინეთის იმპორტმა 2.1 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთის საზღვრების ჩაკეტვა და ჩინელი ტურისტების შინ დარჩენა, დიდ გავლენას იქონიებს მთელს მსოფლიოზე.

ჩინეთი მრეწველობის დარგში მსოფლიოს უმსხვილესი მიმწოდებელია. შესაბამისად, ჩინეთში ქარხნების დახურვას გავლენა აქვს მთელ მსოფლიოზე. მაგალითისთვის, ჩინეთში იწარმოება სამომხმარებლო ელექტრონიკის (მობილური ტელეფონები და ლეპტოპები) დიდი წილი. ასევე, ელემენტები ელექტრო ავტომობილებისათვის და ნედლეული სამედიცინო ნაწარმისათვის. იმის გამო, რომ ვირუსის გავრცელების შედეგად, ჩინეთში წარმოება შენედა, რიგი ქვეყნები დარჩნენ მიმწოდებლის გარეშე. შუალედური საქონლის გარეშე კი საბოლოო პროდუქტის წარმოება შეუძლებელია, შესაბამისად, აღნიშნული გავლენას ახდენს სრულიად ღირებულებათა ჯაჭვზე⁸. **გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი, რომელშიც ჩინეთი გადამწყვეტ როლს თამაშობს, COVID-19-ით მნიშვნელოვნად ზარალდება, რასაც მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტი ექნება მსოფლიო ეკონომიკაზე.**


რაც შეეხება ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მონაცემთა პლატფორმის STATISTA-ს მიხედვით, პირველ კვარტალში ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი 2.4%-მდე შენედა, 2020 წლის ჯამური მონაცემი კი 5%-ს მიაღწევს (იხ. გრაფიკი 1).

⁶ International Labor Organization, “How will COVID-19 affect the world of work?”, March, 2020, https://www.ilo.org/global/topics/coronavirus/impacts-and-responses/WCMS_739047/lang--en/index.htm

⁷ IMF Statistics, <https://www.imf.org/external/datamapper/NGDPD@WEO/OEMDC>; <https://www.nasdaq.com/articles/the-5-largest-economies-in-the-world-and-their-growth-in-2020-2020-01-22>

⁸ ღირებულებათა ჯაჭვი - ყველა იმ საქმიანობის ერთობლიობა, რაც მწარმოებელმა უნდა განახორციელოს იმისთვის, რომ ნედლეულიდან მიიღოს საბოლოო პროდუქტი, რომელიც მიეწოდება მომხმარებელს. ანუ ჯაჭვი, რომლის საწყის რგოლს, ნედლეულს, ყოველ მომდევნო ეტაპზე ემატება ღირებულება, რათა გარდაიქმნას საბოლოო პროდუქტად.

გრაფიკი 1. ჩინეთის მშპ-ს ზრდის შუალედური პროგნოზი კორონავირუსის გავრცელების ფონზე (ზრდის ტემპი, %)



წყარო: statista.com

მსგავსი პროგნოზი აქვს OECD-საც, რომლის 2 მარტის ანგარიშის მიხედვით, 2020 წელს ჩინეთის ეკონომიკა 6.1%-ის ნაცვლად, 4.9%-ით გაიზრდება.

თუ ჩინეთი ვირუსის შეჩერებას შეძლებს, მაშინ მეორე კვარტალში შეძლებს საკუთარი ქარხნების ამუშავებას, რაც იქონიებს ნაკლებ გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე. Made-in-China.com-ის (ერთ-ერთი მთავარი პლატფორმა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჩინელ მიმწოდებლებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებლებს) კვლევის მიხედვით, მრეწველობის სფეროში მომუშავე ქარხნების 80%-მა განაახლა ოპერირება და აპრილის ბოლოსათვის წარმოება ნორმალურ დონეს უნდა დაუბრუნდეს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, წლის პირველ ნახევარში არსებულ შოკს, წლის მეორე ნახევარში გაუმჯობესება მოყვება.

ამერიკის შეერთებული შტატები

კორონავირუსმა გავლენა იქონია მსოფლიოს ყველაზე მსხვილ ეკონომიკაზეც. Goldman Sachs-ის ანგარიშის თანახმად, 2020 წლის პირველ კვარტალში აშშ-ს ეკონომიკა 6%-ით შემცირებდება, ხოლო მეორე კვარტალში 24%-ით. Morgan Stanley-ის თანახმად, აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი აპრილ-ივნისში შემცირდება 30.1%-ით, რაც გამოიწვევს

12.8%-ის ტოლ უმუშევრობას. მსგავსი პროგნოზი აქვს Berenberg Capital Markets-საც, რომლის თანახმად, მეორე კვარტალში აშშ-ს მშპ 18%-ით შემცირდება.⁹

Goldman Sachs და Morgan Stanley-ც ელოდებიან, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება 2020 წლის მესამე კვარტლიდან. Goldman Sachs-ის მიხედვით, მე-3 და მე-4 კვარტალში მოსალოდნელი დადებითი ზრდის ფონზე, წლის განმავლობაში აშშ-ს ეკონომიკა მხოლოდ 0.4%-ით გაიზრდება. ანგარიშის თანახმად, სპორტზე დანახარჯები შემცირდება 85%-ით, ტრანსპორტზე - 65%-ით, ხოლო სასტუმროებსა და რესტორნებზე - 65%-ით.

2020 წლის 2 მარტს გამოქვეყნებული OECD-ს განახლებული ეკონომიკური მიმოხილვის თანახმად, აშშ-ს ეკონომიკური ზრდა 2020 წელს 2.3%-ის ნაცვლად, 1.9% იქნება.

განსაკუთრებით თვალშისაცემია კორონავირუსის გავლენა აშშ-ს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. წინა თვესთან შედარებით ძირითადი ინდექსების ცვლილება მოცემულია ცხრილ 1-ში. Dow Jones Industrial Average-ის ფასი წინა თვესთან შედარებით 21.4%-ით დაეცა, NASDAQ 100 stock ინდექსი 15.8%-ით, ხოლო S&P 500 ინდექსი თითქმის 20.6%-ით.

ცხრილი 1. აშშ-ს ფასიანი ქაღალდები (2020 წლის 25 მარტის მდგომარეობით)

	ღირებულება	ცვლილება წინა თვესთან	ცვლილება წინა წელთან
DOW JONES INDUS. AVG	21,200.6	-21.4%	-17.4%
NYSE COMPOSITE INDEX	9,961.4	-23.7%	-21.2%
NASDAQ 100 STOCK INDX	7,469.6	-15.8%	1.6%
DOW JONES TRANS. AVG	7,724.9	-21.5%	-23.6%
S&P 500 INDEX	2,475.6	-20.6%	-12.2%

წყარო: Bloomberg.com


ევროზონა

თებერვლის ბოლოდან კორონავირუსმა ევროზონის ქვეყნებშიც აქტიურად იწყო გავრცელება და განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა იტალიას, სადაც სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

⁹ Erik Sherman, "Goldman Sachs just made the grimmest prediction yet about the economy in Q2", March 20, 2020, <https://fortune.com/2020/03/20/coronavirus-economic-predictions-goldman-sachs-recession-gdp-2q-2020/>

ევროსტატის მონაცემებით, 2019 წლის ბოლოსთვის ევ. ზრდა ევროზონის ქვეყნებში უფრო დაბალი იყო ვიდრე წინა კვარტლებში. 2019 წელს ევროზონის ქვეყნების ეკონომიკა მხოლოდ 1.2%-ით გაიზარდა. სამწუხაროდ, კორონავირუსიდან გამომდინარე, არც 2020 წელი იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდის მომტანი ევროზონის ქვეყნებისთვის. OECD-ის პრიგნოზის მიხედვით, 2020 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ევროზონაში 0.8%-მდე შემცირდება (საბაზისო შეფასება 1.2%). მსგავსი მოლოდინი აქვს რაბო ბანკსაც, რომლის პროგნოზის თანახმად კი, 2020 წელს ევროზონის ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელი 1%-დან, 0.1%-ით შემცირდება. რაც შეეხება ევროზონის ქვეყნებს, OECD-ის განახლებული პროგნოზის მიხედვით, 2020 წელს, გერმანიის ეკონომიკა გაიზარდება 0.8%-ით, საფრანგეთის ეკონომიკა 0.9%-ით, ხოლო იტალიის ეკონომიკა უცვლელი დარჩება.

გრაფიკი 2. ეკონომიკური ზრდის შეფასება ევროზონის ქვეყნებში 2020 წლისთვის (%)



წყარო: OECD

კორონავირუსის პირობებში ევროზონის ეკონომიკა დგას ერთდროულად მიწოდებისა და მოთხოვნის შოკის წინაშე. რადგან ჩინეთის ეკონომიკის გამოშვება მნიშვნელოვნად მცირდება, სამომხმარებლო საქონლისა და საწარმოო ნედლეულის იმპორტი შეფერხებულია. შესაბამისად, ევროპული ბიზნესის მიწოდების ჯაჭვი განიცდის პირდაპირ თუ ირიბ წყვეტას. ამასთანავე, მცირდება ერთობლივი მოთხოვნაც. ჩინეთის ჩაკეტვა და ჩინეთის ეკონომიკის შენელება განაპირობებს ჩინეთის მხრიდან მოთხოვნის შემცირებას ევროპულ საქონელსა თუ კაპიტალზე. გარდა ამისა, მცირდება შიდა მოთხოვნაც არაპირველადი მოხმარების საგნებზე.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მოცემული კლიმატი, ევროზონის ეკონომიკას რეცესიამდე მიიყვანს და სრული

პანდემიური სცენარის განვითარების შემთხვევაში, რადო ბანკის მკვლევარების პროგნოზით, ევროზონის ეკონომიკური ზრდა შესაძლოა -0.5%-ზე ქვემოთაც დაეცეს¹⁰.

დარგები, რომლებზეც კორონავირუსით გამოწვეულ დაავადებას ექნება გავლენა

ანალიტიკოსების ვარაუდით, ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით, კორონავირუსის პანდემია გავლენას იქონიებს ყველა სექტორზე. თუმცა, ზოგ მათგანზე ექნება მეტი უარყოფითი გავლენა, ზოგზე კი ნაკლები. მონაცემთა პლატფორმის [statista.com](https://www.statista.com)-ის თანახმად, ორი სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდება კორონავირუსისგან არის ტურიზმისა და ტრანსპორტირების სექტორი და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორი¹¹.

ტურიზმი

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო COVID-19-სგან, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რთულია საერთაშორისო ტურიზმზე კორონავირუსის გავლენის შეფასება, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით, წინაზე ნავარაუდები 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად.¹² რაც ნიშნავს, საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას.

Mobility Market Outlook on COVID-19-ის მიხედვით, 2020 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური შემოსავალი იქნება სავარაუდოდ 568.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 17%-ით ნაკლებია¹³. ამასთანავე, აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2020 წლის საწყის პროგნოზს, დაახლოებით 712 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნების მიხედვით,

¹⁰ Hugo Erken et al. “Global Economic Outlook: COVID-19 has taken a hold of the global economy”, March 12, 2020, <https://economics.rabobank.com/publications/2020/march/coronavirus-likely-to-push-eurozone-economy-into-recession/>


¹¹ <https://www.statista.com/statistics/1106302/coronavirus-impact-index-by-industry-2020/>

¹² The World Tourism Organization, “Tourism and COVID-19”, March 27, 2020 <https://www.unwto.org/tourism-covid-19-coronavirus>

¹³ <https://www.statista.com/forecasts/1103426/covid-19-revenue-travel-tourism-industry-forecast>

ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავალი ნავარაუდევია, რომ ყველაზე მეტად შემცირდება ჩინეთში¹⁴ (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავლის მოსალოდნელი ცვლილება კორონავირუსის პანდემიის ფონზე (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: statista.com


UNWTO-ს თანახმად, ამ ეტაპისთვის COVID-19-ისგან ყველაზე მეტად დაზარალდა აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები შემცირდა 9-12% - ით, იანვარში ნავარაუდევია 5-6%-იანი ზრდის ნაცვლად.

აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი ყველაზე მეტად დაზარალდა მოგზაურობისა და ტურისმის სექტორში დასაქმებულთა კუთხითაც. Statista.com-ის მიხედვით, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარი 2020 წელს სავარაუდოდ, 75.2 მილიონ სამუშაო ადგილს დაკარგავს¹⁵. რეგიონი, რომელსაც COVID-19 – დან ყველაზე დიდი ზარალი მოადგება, არის აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც 2020 წელს ნავარაუდევია, რომ იქნება 48.7 მილიონი სამუშაო ადგილით ნაკლები, ხოლო ევროპა იქნება დანაკარგის სიდიდით რიგით მეორე რეგიონი, რომელიც აღნიშნულ ინდუსტრიაში დაკარგავს 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს (იხ. გრაფიკი 4).

¹⁴ [https://www.statista.com/forecasts/1103432/covid-19-revenue-travel-tourism-industry-forecast](https://www.statista.com/forecasts/1103432/covid-19-revenue-travel-tourism-industry-country-forecast)

¹⁵ <https://www.statista.com/statistics/1104835/coronavirus-travel-tourism-employment-loss/>

გრაფიკი 4. კორონავირუსის გამო 2020 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ნავარაუდები სამუშაო ადგილების დანაკარგი რეგიონების მიხედვით (მილიონი)



წყარო: statista.com

UNWTO-ს თანახმად, ყველაზე მეტად დაზარალდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. მათი წილი ტურიზმის სექტორში 80% შეადგენს. კორონავირუსს განსაკუთრებული გავლენა კი იმ ქვეყნებზე ექნება, რომელთა ეკონომიკაში ტურიზმს დიდი წილი უკავია და რომლის ეკონომიკური ზრდაც დიდწილად ტურიზმის სექტორიდან გამომდინარეობს.

გადამამუშავებელი მრეწველობა

ჩინეთი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში მსოფლიოს უმსხვილესი მიმწოდებელია და გაეროს 2018 წლის მონაცემებით, მასზე მოდის მსოფლიო გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში წარმოებული პროდუქციის 28%¹⁶. ჩინეთის გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორმა 2018 წელს თითქმის 4 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის ნომერ მეორე მიმწოდებელი აშშ-ა. მასზე 2018 წლის მონაცემებით, გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში წარმოებული პროდუქციის 16.6% მოდის.

კორონავირუსის გავრცელებამ ჩინეთის გადამამუშავებელი მრეწველობის ქვესექტორებიდან ყველაზე მეტად დაზარალა ავტომობილების წარმოება (შემცირდა 31.8%-ით), ზოგადი დანადგარების წარმოება (შემცირდა 28.2%-ით), სარკინიგზო, გემთმშენებლობის და აეროსივრცითი წარმოება (შემცირდა 28.8%-ით), ტექსტილის

¹⁶ <https://www.statista.com/chart/20858/top-10-countries-by-share-of-global-manufacturing-output/>

წარმოება (შემცირდა 27.2%-ით), პლასტმასის წარმოება (შემცირდა 25.2-ით), ელექტრო დანადგარების წარმოება (შემცირდა 24.7%-ით)¹⁷.

რამდენადაც ჩინეთი წარმოადგენს ასევე სამრეწველო პროდუქციის ნედლეულის მწარმოებელს, მასზე დამოკიდებულია მსოფლიოს არაერთი ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგი, რადგან არ არსებობს საბოლოო პროდუქცია ნედლეულის გარეშე. განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიადგება ავტომობილების მწარმოებლებს, ვინიდან, მსოფლიოში დამზადებული ხუთი ავტომობილიდან, ოთხი ჩინეთში წარმოებული ნედლეულის გამოყენებითაა აწყობილი. 2018 წელს ჩინეთმა აწარმოა მსოფლიოს ნედლი ფოლადის 51.3%¹⁸. გარდა ამისა, გერმანიას ელექტრო ავტომობილების ელემენტების ¼ შემოაქვს ჩინეთიდან. შედეგად, ფოლადის მიწოდების შემცირების გამო, გერმანიის წამყვანი ავტომობილების მწარმოებელი კომპანიები გეგმავენ საქმიანობის შეჩერებას.

მსგავს ინფორმაციას ავრცელებს ინდური გამომცემლობა The Economic Times-იც. მათი განცხადებით, ჩინეთის ქარხნების შეჩერებამ შეაფერხა იმ ნედლეულის იმპორტი, რომელიც აუცილებელია ინდური ავტო მწარმოებლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ არსებული მარაგები ყოფნით, თუ ჩინეთში გაჩერებული ქარხნების მუშაობა არ აღდგება, 2020 წლისთვის ინდური ავტო-წარმოება 8-10%-ით შემცირდება. ელექტრო ავტომობილების წარმოებაზე, ჩინეთის გადამამუშავებელი მრეწველობის შეჩერებას გაცილებით დიდი გავლენა ექნება. რადგან, ჩინეთი წარმოადგენს ელექტრო ავტომობილების ელემენტების დომინანტ მწარმოებელს მსოფლიოში და ინდოეთის ელექტრო ავტომობილების ინდუსტრიას სწორედ ჩინეთიდან შემოაქვს გამოყენებული ელემენტების სამი-მეოთხედი¹⁹.

ჩინეთიდან ავტომობილებისა და ავტონაწილების იმპორტის შემცირების გამო, ევროკავშირის საავტომობილო ინდუსტრია მოსალოდნელია, რომ 2020 წელს დაკარგავს 2.5 მილიარდ აშშ დოლარს²⁰, იაპონია დაკარგავს დაახლოებით მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო აშშ 0.8 მილიარდს (იხ. გრაფიკი 5).


¹⁷ <https://www.statista.com/chart/21171/coronavirus-impact-on-chinese-manufacturing-output/>

¹⁸ IBISWorld, “Coronavirus Update: Industry Fast Facts”, March 27, 2020, <https://www.ibisworld.com/industry-insider/analyst-insights/coronavirus-update-industry-fast-facts/#Construction>

¹⁹ ETMarkets, “Coronavirus & its impact on various sectors”, March 5, 2020, <https://economictimes.indiatimes.com/markets/stocks/news/coronavirus-its-impact-on-various-sectors/pharma/slideshow/74490810.cms>

²⁰ <https://www.statista.com/statistics/1103657/economic-trade-impact-of-covid-19-on-the-auto-industry-by-market/>

გრაფიკი 5. კორონავირუსის პანდემიის მოსალოდნელი გავლენა საავტომობილო სექტორზე, 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: statista.com

ჩინეთი ასევე წარმოადგენს **ფარმაცევტული ნედლეულის** მთავარ მწარმოებელს. შესაბამისად, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში წარმოებული ფარმაცევტული ნაწარმი დამოკიდებულია ჩინეთის ბაზრის შეუფერხებლად ფუნქციონირებაზე. მაგალითად, ინდოეთი. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი მსოფლიოში წამლების ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორს წარმოადგენს, ადგილობრივი ფარმაცევტული ინდუსტრია დიდწილად ეყრდნობა ჩინეთიდან იმპორტირებულ ნედლეულს. მრავალი კრიტიკული ანტიბიოტიკისა და ანტიპირეტიკის (antipyretics - სიცხის დამწვევი საშუალება) წარმოება თითქმის 100%-ით დამოკიდებულია ჩინეთიდან იმპორტზე.

რაც შეეხება აშშ-ს გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორს, შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემების თანახმად, 2020 წლის თებერვალში, გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში დასაქმებულია 12.8 მილიონი ამერიკელი, რომელთა საშუალო შემოსავალი საათში \$28.20-ს შეადგენს. მიწოდების ჯაჭვის შეფერხებით მოქმედების გამო, წარმოების დანახარჯები ეზრდება ბევრ კომპანიას, რომელიც გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ფუნქციონირებს.

ყველაზე დიდი ეკონომიკური დარტყმა აშშ-ს გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში **კომპიუტერული და ელექტრონული პროდუქტის წარმოების ქვსექტორებზე** მოდის, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორის ყველაზე დიდ კონტრიბუტორს და მასზე მოდის გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი მშპ-ს 12.4%. ქვსექტორის წამყვანმა კომპანიებმა, Apple-მა და მაიკროსოფტმა უკვე განაცხადეს, რომ ელიან ნაკლები შემოსავლის მიღებას მიწოდების ჯაჭვში არსებული შეფერხებისა და ჩინეთიდან მოთხოვნის შემცირების გამო. ვაშინგტონის Economic Policy Institute-ზე დაყრდნობით, Apple-თან ერთად, Hasbro Inc.-საც უწევს გაცილებით დიდი თანხების დახარჯვა იმ ნედლეულის შესაძენად, რის იმპორტსაც ჩინეთიდან ახორციელებდა. Hasbro-ს განცხადებით, ჩინეთზე მოდის მისი მთლიანი მიმწოდებლების ორი-მესამედი.

ქიმიური მრეწველობის ქვესექტორი წარმოადგენს აშშ – ს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგის მიერ შექმნილი მშპ–ს კიდევ ერთ დიდი კონტრიბუტორს და მასზე მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში შექმნილი მშპ–ს დაახლოებით 15.9%. კორონავირუსი მოსალოდნელია, რომ ასევე დიდ უარყოფით გავლენას იქონიებს აღნიშნულ ქვესექტორზე, ვინაიდან:

- აშშ-ს მიერ წარმოებული ფარმაცევტული პროდუქტების დაახლოებით 13%-ის ნედლეული იმპორტირებულია ჩინეთიდან;
- აშშ-ს სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაციის (US Food and Drug Administration) თანახმად, შეერთებული შტატები თავისი ზოგადი მოხმარების მედიკამენტების 40% -ს ინდოეთიდან იღებს, ინდოეთი კი, როგორც ვნახეთ, თავის მხრივ დიდწილადაა ჩინეთზე დამოკიდებული.


აქვე აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო, ქიმიური მრეწველობის ქვესექტორის გარკვეული სეგმენტები, მათ შორის ფარმაცევტული პროდუქტებისა და საკვების წარმოება, განიცდიან მზარდ მოთხოვნას.

აშშ-ს მრეწველთა ეროვნული ასოციაციის (U.S. National Association of Manufacturers) წევრების გამოკვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა 28 თებერვლისა და 9 მარტს შორის პერიოდში, მეწარმეთა 78.3% აცხადებს, რომ COVID-19-მა იქონია ფინანსური გავლენა მათ წარმოებაზე, ხოლო გამოკითხულთა 53.1% ელის, რომ ახლო მომავალში შეცვლის ოპერირების წესს.

საფინანსო სექტორი

კორონავირუსმა დიდი გავლენა იქონია ფინანსურ ბაზრებზე. ვირუსის გავრცელების არეალის გაფართოებასთან ერთად, არაერთი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასმა დაიწყო დაცემა. ბლუმბერგის მონაცემების თანახმად, თებერვლიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა ინდექსმა იწყო ვარდნა (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6. კორონავირუსის გავლენა აქციების ფასებზე, 19 მარტის მდგომარეობით




წყარო: ბლუმბერგი, BBC

BBC-ის თანახმად, The Dow Jones და FTSE-ს მსგავსი დღიური ვარდნა არ განუცდიათ 1987 წლის შემდეგ. საპასუხოდ, რიგი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა (მათ შორის აშშ-ს და გაერთიანებული სამეფოს) იწყეს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდისა და ეკონომიკის წახალისებისათვის.

კრიზისის დროს, ინვესტორები ხშირად ირჩევენ ნაკლებად სარისკო ინვესტიციებს. ოქრო ტრადიციულად ითვლება "უსაფრთხო თავშესაფარად" (Safe Heaven) ინვესტორთათვის გაურკვევლობის დროს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მარტამდე ოქროს ფასი იზრდებოდა, კორონავირუსის ფართო გავრცელებამ ინვესტორებში გლობალური რეცესიის შიში გამოიწვია და ოქროს ფასიც კი დაეცა (იხ. გრაფიკი 7).


გრაფიკი 7. კორონავირუსის გავლენა ოქროს ფასზე, 19 მარტის მდგომარეობით



წყარო: ბლუმბერგი, BBC

კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად, დაეცა ნავთობის ფასიც და მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს 2001 წლის ივნისის შემდეგ (იხ. გრაფიკი 8). ჩინეთის ჩაკეტვამ, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდ იმპორტიორს, რომელიც ჩვეულებრივ მოიხმარს დაახლოებით 14 მილიონ ბარელს დღეში, დასჭირდება გაცილებით ნაკლები ნავთობი (ვინაიდან შეზღუდულია ყველა ტიპის ტრანსპორტის გადაადგილება), გამოიწვია ინვესტორებში შიში, რომ ვირუსის გავრცელებასთან ერთად მსოფლიო ეკონომიკური ზრდა შენედება და ნავთობზე მოთხოვნა შემცირდება.

გრაფიკი 8. კორონავირუსის გავლენა ნავთობის ფასზე, 19 მარტის მდგომარეობით




წყარო: ბლუმბერგი, BBC

საცალო ვაჭრობა

საცალო ვაჭრობის ინდუსტრიამ, კორონავირუსის ფონზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კორონავირუსის გავლენა საცალო ვაჭრობაზე არც ისე ცალსახაა, როგორც აქამდე ნახსენებ სხვა სფეროებში. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთ ნივთებზე, როგორიცაა ტანსაცმელი, აქსესუარები და გართობა (სახლს გარეთ), მოთხოვნა გაიზარდა ისეთ სამომხმარებლო ნივთებზე, როგორიცაა სასურსათო საქონელი, დასუფთავების საშუალებები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე (consumer packaged goods) მოთხოვნა იტალიაში გაიზარდა დაახლოებით 10.9%-ით, საფრანგეთში 9%-ით, გაერთიანებულ სამეფოში 8.2%-ით, ხოლო აშშ-ში 9.5 %-ით (იხ. გრაფიკი 9). აშშ-ში 16 მარტს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მომხმარებლები მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, გეგმავენ ხარჯები გაზარდონ სურსათსა და საბავშვო არასასურსათო საქონელზე, ხოლო ყველა დანარჩენ კატეგორიაზე ხარჯები შეამცირონ.


გრაფიკი 9. ყოველდღიური მოხმარების საგნებზე მოთხოვნის ცვლილება, კორონავირუსის პანდემიის ფონზე (2020 წლის მარტის მდგომარეობით)



წყარო: statista.com

სურსათზე გაზრდილი მოთხოვნა, ნაწილობრივ გამოწვეულია კორონავირუსის გამო მომხმარებელთა ქცევის შეცვლით. რადგან, მათი დიდი ნაწილი ცდილობს სასურსათო პროდუქციის მარაგები შექმნას. 2020 წლის მარტის მეორე კვირის მონაცემებით, ჩინელი მომხმარებლები კორონავირუსული პანდემიის გამო საკვებს ყველაზე მეტად იმარაგებენ (მომხმარებელთა 42% საკვებს იმარაგებს), მსგავსი ქცევით მეორე ადგილზე კი ინდოელი მომხმარებელია (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10. მომხმარებელთა წილი, რომელიც საკვებს იმარაგებს, 2020 წლის მარტის მდგომარეობით




წყარო: statista.com

გაზრდილია ასევე ონლაინ საცალო გაყიდვები. მონაცემთა პლატფორმის, Statista.com-ის მონაცემებზე დაყრდნობით, 22 მარტის მდგომარეობით, მსოფლიო სუპერმარკეტების ონლაინ გაყიდვები, იანვარ-თებერვალთან შედარებით 161.4%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება არასასურსათო საცალო ვაჭრობას, მათი დიდი ნაწილი კორონავირუსის გამო დროებით დაიხურა. მაგ: Apple-მა ჩინეთს გარეთ დახურა ყველა მაღაზია. ანალოგიურად იქცევინა მოდის, სპორტული ინვენტარის და ტექნიკის მაღაზიებიც.

კორონავირუსის გამო, ევროპის საცალო ვაჭრობის სექტორი 2020 წლის 9 მარტი-21 აპრილის პერიოდში დაახლოებით 3.26 მილიარდი ბრიტანული ფუნტის დანაკარგს ელოდება. გრაფიკ 11-ზე მოცემულია საცალო ვაჭრობის სექტორის მოსალოდნელი დანაკარგები, შერჩეულ 3 ქვეყანაში.

გრაფიკი 11. კორონავირუსის პანდემიის გამო, საცალო ვაჭრობის სექტორის მოსალოდნელი დანაკარგები გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიასა და საფრანგეთში (მილიონი ბრიტანული გირვანქა)



წყარო: statista.com

გართობა და დასვენება

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა დააწესა ერთად თავმოყრილი ადამიანების რაოდენობის შესახებ. აღნიშნულმა ფაქტმა კი დიდი გავლენა იქონია გართობისა და რეკრეაციის სექტორზე და ისეთი სუბიექტების ფუნქციონირებაზე, როგორცაა კაფე-რესტორნები, კინო-თეატრები, სპორტული ღონისძიებები, სპორტ-დარბაზები და სხვ.


კორონავირუსის პანდემიამ გლობალურ სარესტორნე ინდუსტრიას დიდი ზარალი მიაყენა. საზოგადოებრივ ადგილებში სოციალური დისტანციისა და ზოგადი სიფრთხილის ზომების გამო, მომხმარებლები უფრო და უფრო ნაკლებად იკვებებიან გარეთ. Statista.com-ის თანახმად, მსოფლიო რესტორნებსა და კაფეებში სტუმრების რაოდენობის წლიურმა შემცირებამ, 2020 წლის 25 მარტს 100%-ს მიაღწია.

სოციალური დისტანცირებიდან გამომდინარე, მსოფლიოს გარშემო არაერთი კინო-თეატრი დაიხურა. Statista.com-ის ბოლოდროინდელი მონაცემების თანახმად, 2020 წლის მარტის შუა რიცხვების მდგომარეობით, გლობალურმა კინოინდუსტრიამ განიცადა 7 მილიარდი აშშ დოლარის ზარალი. კინოთეატრების დახურვით, ფილმების პრემიერების გადადებით, ეკრანიზაციების გაუქმებითა და სალაროების დახურვით, კინოინდუსტრიამ შესაძლოა დაკარგოს კიდევ 10 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი, თუ პანდემია გაგრძელდება აპრილსა და მაისშიც.

კორონავირუსმა გავლენა იქონია სპორტზეც, ბევრმა პროფესიონალურმა და სამოყვარულო ლიგამ, ყველა კონტინენტსა და სპორტში, გადაიღო ან შეაჩერა სეზონები, რათა თავიდან აეცილებინა დიდი რაოდენობით ხალხის შეკრება.

ოლიმპიური თამაშები ტოკიოში უნდა ჩატარებულიყო 2020 წლის ივლისის ბოლოს, მაგრამ 24 მარტს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადაედო თამაშები 2021 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიების მომავალი კვლავ გაურკვეველია, ტოკიოს პოტენციური დანაკარგი წარმოადგენს 597 მილიარდ იენის, რომლის ინვესტირებაც მან ღონისძიების მასპინძლობაში განახორციელა. თუმცა, ოლიმპიური თამაშების ჯამური დანაკარგი გაცილებით მეტია (იხ. გრაფიკი 12).

გრაფიკი 12. კორონავირუსის პანდემიის გამო, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მოსალოდნელი დანაკარგი (მილიარდი იაპონური იენი)



წყარო: statista.com

მსოფლიოს ბევრმა ლიგამ შეაჩერა სეზონი და უფამ (The Union of European Football Associations) მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, 2020 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის 2021 წლამდე გადადებაზე. ეს ნაბიჯი უფას 300 მილიონი ევრო დაუჯდება, ხოლო ღონისძიების გაუქმება ფედერაციას 400 მილიონი ევრო დაუჯდებოდა. დანაკარგი ნახა საკალათბურთო ინდუსტრიამაც. იმ დროს, როდესაც საკალათბურთო სეზონი შეწყდა 2020 წლის მარტში, 2019/20 წლების NBA-ს რეგულარულ სეზონში კიდევ 259 თამაში იყო დარჩენილი. ამ გაუქმებების შედეგად NBA-ს დანაკარგები მერყეობს 350-450 მილიონ აშშ დოლარს შორის.

შეჯამება

ფაქტია, რომ კორონავირუსის პანდემია მსოფლიო ეკონომიკაზე დიდ გავლენას იქონიებს. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება, ამ ეტაპისთვის რთული განსასაზღვრია აღნიშნული გავლენის მასშტაბები. კორონავირუსის პანდემიის ეფექტს, ხშირად მესამე მსოფლიო ომსაც კი ადარებენ და ვირუსის აღმოფხვრისთანავე, მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გახდება. როგორც ეკონომისტები პროგნოზირებენ, დიდია ალბათობა იმისა, რომ კორონავირუსი მსოფლიოს ეკონომიკას რეცესიამდე მიიყვანს.

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსი თავდაპირველად ჩინეთში გავრცელდა და კვლევების უმრავლესობა ჩინეთის ეკონომიკაზე ვირუსის გავლენას იკვლევს, მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება და თუ ვირუსის აღმოცენებიდან 2,5 თვის განმავლობაში ჩინეთი წარმოადგენდა მკვლევართა ფოკუსს, მარტის ბოლოდან მსოფლიოში არსებული მდგომარეობა შეიცვალა და ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობით, მსოფლიოში პირველ ადგილზე აშშ-ა, მეორე-მესამე ადგილზე კი ევროზონის ქვეყნები: იტალია და ესპანეთი. შესაბამისად, რთულია იმის პროგნოზირება, თუ რომელი ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდება ყველაზე მეტად.

რაც შეეხება ეკონომიკის დარგებს, ანალიტიკოსების ვარაუდით, კორონავირუსის პანდემია გავლენას იქონიებს ეკონომიკის ყველა სექტორზე. თუმცა, ზოგ მათგანზე ექნება მეტი უარყოფითი გავლენა, ზოგზე კი ნაკლები. მონაცემთა პლატფორმის [statista.com](https://www.statista.com)-ის თანახმად, ორი სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდება კორონავირუსისგან არის ტურიზმისა და ტრანსპორტირების სექტორი და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორი. გარდა აღნიშნული სექტორებისა, ვირუსის გავლენა თვალშისაცემია ისეთ სექტორებზეც, როგორია: საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა და გართობა და დასვენება.

ბიბლიოგრაფია

OECD Interim Economic Assessment, “*Coronavirus: The world economy at risk*”, March 2, 2020 <https://www.oecd.org/economic-outlook/>

Tom Orlik, Jamie Rush, Maeva Cousin and Jinshan Hong, “*Coronavirus Could Cost the Global Economy \$2.7 Trillion*”, March 6, 2020 <https://www.bloomberg.com/graphics/2020-coronavirus-pandemic-global-economic-risk/>

Hugo Erken et al. “*Global Economic Outlook: COVID-19 has taken a hold of the global economy*”, March 12, 2020 <https://economics.rabobank.com/publications/2020/march/global-economic-outlook/>

International Labor Organization, “How will COVID-19 affect the world of work?”, March, 2020 https://www.ilo.org/global/topics/coronavirus/impacts-and-responses/WCMS_739047/lang--en/index.htm

ETMarkets, “Coronavirus & its impact on various sectors”, March 5, 2020, <https://economictimes.indiatimes.com/markets/stocks/news/coronavirus-its-impact-on-various-sectors/pharma/slideshow/74490810.cms>

The World Tourism Organization, “Tourism and COVID-19”, March 27, 2020 <https://www.unwto.org/tourism-covid-19-coronavirus>

Global Economic Effects of COVID-19, March, 2020 <https://www.everycrsreport.com/reports/R46270.html>

Klaus Fuest, “*Three Scenarios For How Coronavirus May Affect Economies and Industries*”, March 12, 2020 <https://www.rolandberger.com/en/Point-of-View/Three-scenarios-for-how-Coronavirus-may-affect-economies-and-industries.html>

Elisabeth Buchwald, “*These industries will be hardest hit by the coronavirus pandemic — but one sector will likely remain ‘recession-proof’*”, March 21, 2020 <https://www.marketwatch.com/story/these-industries-are-more-likely-to-shed-jobs-if-the-coronavirus-pandemic-worsens-but-one-sector-looks-recession-proof-2020-03-11>

“*How Coronavirus is Affecting Manufacturers*”, March 12, 2020 <https://www.nam.org/how-coronavirus-is-affecting-manufacturers-7417/?stream=series-demystifying-data>

IBISWorld, “*Coronavirus Update: Industry Fast Facts*”, March 27, 2020 <https://www.ibisworld.com/industry-insider/analyst-insights/coronavirus-update-industry-fast-facts/#Construction>

Lora Jones, David Brown & Daniele Palumbo, “*Coronavirus: A visual guide to the economic impact*”, March 28, 2020 <https://www.bbc.com/news/business-51706225>

BBC News “Coronavirus and oil: Why crude has been hit hard”, February 2, 2020 <https://www.bbc.com/news/business-51353146>

Grant Suneson, “Industries hit hardest by coronavirus in the US include retail, transportation, and travel”, March 20, 2020, <https://www.usatoday.com/story/money/2020/03/20/us-industries-being-devastated-by-the-coronavirus-travel-hotels-food/111431804/>

მონაცემთა პორტალი statista.com:

- <https://www.statista.com/topics/6143/coronavirus-covid-19-impact-on-the-retail-landscape-in-the-us/>
- <https://www.statista.com/statistics/1104224/film-industry-revenue-loss-coronavirus-worldwide/>
- https://www.statista.com/topics/6084/coronavirus-covid-19-in-the-us/#dossierSummary_chapter4

Erik Sherman, “Goldman Sachs just made the grimmest prediction yet about the economy in Q2”, March 20, 2020 <https://fortune.com/2020/03/20/coronavirus-economic-predictions-goldman-sachs-recession-gdp-2q-2020/>

Fitch Ratings, *Economics*, 2020 <https://www.fitchratings.com/topics/economics>

J.P.Morgan, “Assessing the Fallout from the Coronavirus Pandemic”, 2020, <https://www.jpmorgan.com/global/research/coronavirus-impact>

European Commission, “The Economic Impact of the COVID-19 Pandemic”, 2020 https://ec.europa.eu/info/sites/info/files/communication-annex-coordinated-economic-response-covid19-march-2020_en.pdf

ADB Briefs, “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, 2020 <https://www.adb.org/sites/default/files/publication/571536/adb-brief-128-economic-impact-covid19-developing-asia.pdf>

James F. Peltz, “U.S. stocks dive more than 7% as oil war and coronavirus fears slam markets”, Los Angeles Times, March 9, 2020 <https://www.latimes.com/politics/story/2020-03-09/economic-impact-coronavirus-oil-prices-stock-markets>

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო საქმიანობის მხარდასაჭერად. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ნაშრომის ავტორს და არ წარმოადგენს პარლამენტის ოფიციალურ პოზიციას. ნაშრომი დაცულია საავტორო უფლებებით და დოკუმენტის ან მისი ნაწილის გამოყენება წყაროს მიუთითებლად, ასევე მისი გავრცელება, ასლების შექმნა და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ავტორის ნებართვის გარეშე.

ავტორი:
თათული დუშუაშვილი
[Email: tdushuashvili@parliament.ge](mailto:tdushuashvili@parliament.ge)